# შირაქი
SHIRAKI
www. open.ge
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.605)
19-26 ოქტომბერი 2013 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


# მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროში



დედოფლისწყაროს წელს მხოლოდ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4 მილიონამდე ლარის დაფინანსება გამოეყო. ამ თანხებით მუნიციპალიტეტში 20 ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს. წესრიგდება როგორც ქალაქში არსებული, ისე სასოფლო დანიშნულების გზები, ხდება ბორდიურების აღდგენა, ხიდების შეკეთება, რეაბილიტაცია უტარდება საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემებს.

გარდა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო სხვა მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც ახორციელებს. ამ დროისთვის ინტენსიურად მიმდინარეობს წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 16-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია. მთლიანობაში, მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 40 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები შესრულდება.

# „საარჩევნო გარემო წელს ყველაზე მშვიდია“...

საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი გადამწყვეტ ფაზაში შედის და პოლიტიკური ტემპერატურა სულ უფრო იწევს მაღლა, თუმცა, დედოფლისწყაროში საკმაოდ მშვიდი ვითარებაა. რამდენიმე წელია, ასეთი მშვიდი არჩევნები არ მახსოვს. იმის მიუხედავად, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების რიცხვი 23-ს აღწევს, საქართველო პოლიტიკური რინგის არენას ნაკლებად მოგვაგონებს. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კანდიდატს, პოლიტიკური სუბიექტები მხოლოდ ტელეეკრანებიდან გვაცნობენ საკუთარ პერსონას, უფრო ნაკლებად კი საკუთარ წინასაარჩევნო პლატფორმას.

27 ოქტომბრამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, მაგრამ დედოფლისწყაროს მხოლოდ ორი საპრეზიდენტო კანდიდატი სტუმრობდა და ჩვენი მოსახლეობაც მხოლოდ მათ წინასაარჩევნო დაპირებებს გაეცნო. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა ვითარებაა საოლქო-საარჩევნო კომისიაში და რამდენადაა ჩვენი მუნიციპალიტეტი მზად კენჭისყრის დღისათვის.

„საარჩევნო უბნები დაკომპლექტებულია, ამომრჩეველთა სიებიც გადამოწმებულია. ყოველთვის ყბადაღებული თემა იყო საარჩევნო სიები და ე. წ. „ მკვდარი სულების“ თემა. ამ არჩევნებისთვის სიების გადამოწმების მიზნით, წინასწარ დარიგდა ამომრჩეველთა ბარათები, რათა ადამიანებს გაეგოთ, იყვნენ თუ არა ისინი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ამან ეფექტურად იმუშავა და 12 ადამიანი დაემატა, ხოლო 18 გარდაცვლილი ამოიღეს სიიდან. ეს იყო ამომრჩეველთა ბარათების დარიგების პირველი ეტაპი, არჩევნების წინა დღეებში კვლავ დარიგდება ისინი.

რაც შეეხება საარჩევნო გარემოს, ხედავთ, რომ ის საკმაოდ მშვიდია. საარჩევნო უბნების კომისიების შემადგენლობა დაკომპლექტებულია, უბნები უზრუნველყოფილია ყველანაირი ინვენტარით. საოლქო კომისიისთვის ჯერ არავის მოუმართავს საჩივრით, რომ რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტს ხელი შეშლოდა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში“- განაცხადა ჩვენთან საუბარში საოლქო-სარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით ბუჩუკურმა.

ამომრჩეველთა ერთიანი სიების დაზუსტების მიზნით მომავალი არჩევნებისთვის ელექტრონული სიების შექმნა იგეგმება. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ ეს მექანიზმი მთლიანად აღმოფხვრის სიებში არსებულ ნაკლოვანებებს.

ინგა შიოლაშვილი

## შეხვედრა მწერალთან



გვ. 5

## ლადო ათანელის CD-სა და წიგნის „მოგონებები ნოველებად“ პრეზენტაცია



გვ. 6

## ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.


**ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!**

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი

მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge


C M Y K

# მარგველაშვილი – მეორე ტური არ იქნება, მაგრამ თუ იყო,მე მონაწილეობას არ მივიღებ

„მეორე ტური არ იქნება იმიტომ, რომ ეს არსებული მონაცემებით შეუძლებელია, მაგრამ თუ მოხდა საოცრება და ამომრჩეველი არ გამოვიდა საარჩევნო უბანზე და დაინიშნა მეორე ტური, ასეთ შემთხვევაში ვეღარ ვხედავ აზრს, რომ აქტიურად დავრჩე პოლიტიკაში ჩართული“, — ამის შესახებ „ქართული ოცნებიდან“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, „მეორე ტურის შემთხვევაში იმ მიზნების განხორციელება, რომელზეც საუბრობს ბიძინა, რომელზეც ვსაუბრობ მე, რომელიც კიდევ ერთხელ ერთიანად იკვეთებოდა და ერთიანად ისახებოდა, აღარ არის საჭირო“.

„მეორე ტური არ არის შესაძლებელი, მაგრამ საოცრების შემთხვევაში, მე საოცრებაში მონაწილეობას აღარ მივიღებ,“- აღნიშნა მარგველაშილმა.

კოალიციის კანდიდატის განცხადებით, მისი ფუნქცია არ არის, რომ მხოლოდ რომელიმე პოლიტიკოსს მოუგოს არჩევნები, არამედ მისი ფუნქციაა ემსახუროს ქვეყანას.

„იგივე პოზიცია ჰქონდა ბიძინას, ჩვენ ეს ერთი ემოცია დიდი ხანია გვაქვს და მე არაერთხელ მითქვამს ჩვენს შეკრებებზე, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, რომ ჩვენ ეს არჩევნები მოგებული გვაქვს, ეს იცის აბსოლუტურად ყველამ, მათ შორის ჩვენმა ყველაზე მეტად გაუწონასწორებელმა ოპონენტებმაც,“- აღნიშნა მარგველაშვილმა.

# პენსიის ოდენობა სადაზღვევო სტაჟის და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე იქნება დამოკიდებული

საქართველოს მთავრობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებას გეგმავს. როგორც სამთავრობო პროგრამაშია აღნიშნული, მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები.

პროგრამის მიხედვით, საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, სავალდებულო საპენსიო დაზღვევას დაეფუძნება. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს კი კერძო საპენსიო ინსტიტუტები შეასრულებენ.

„პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება მხოლოდ სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე. სახელმწიფოს ექნება გამოკვეთილი მარეგულირებელი ფუნქცია, რათა სისტემამ შეინარჩუნოს სტაბილურობა. გარდა ამისა, არასრული სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს დაენიშნებათ (ან შეევსებათ) სოციალური პენსია“, - აღნიშნულია სამთავრობო პროგრამაში.

რაც შეეხება იმ პენსიონერებს, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე იმყოფებიან ან მიაღწევენ საპენსიო ასაკს, სახელმწიფოსგან მიიღებენ პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, რაც შესაბამისი კანონით იქნება გარანტირებული.

„საარსებო მინიმუმს გაუტოლდება სახელმწიფო შრომითი (ასაკით) პენსია, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მარჩენალდაკარგულთა, პოლიტრეპრესირებულთა, ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა, ომისა და სამხედრო შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტის სახელმწიფო პენსია; აღმოიფხვრება 2005 წელს ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფაში არსებული დისკრიმინაცია და მოხდება მათი პენსიის გადაანგარიშება დღეს მოქმედი ნორმატივების საფუძველზე“, - ნათქვამია სამთავრობო პროგრამაში.

დოკუმენტის თანახმად, ახალი სისტემის საფუძველი მსოფლიოში აღიარებული ისეთი პრინციპებია, როგორიცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი თაბუაშვილის განცხადებით, აღნიშნული რეფორმის დაწყება უკვე იგეგმება და დაგროვებით პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით ეკონომიკის სამინისტრო მსოფლიო ბანკთან ერთად მუშაობს.

„კონკრეტული სქემები განიხილება. თუ არ დავიწყებთ რეფორმას, სისტემაზე ვერასდროს გადავალთ. შეიძლება ეს შეზღუდული მასშტაბებით დაიწყოს, იდეა კარგია“, - განაცხადა გიორგი თაბუაშვილმა.

# სერგეენკო – ლიცენზიის გარეშე სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნა აიკრძალება

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, ლიცენზიის გარეშე სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნა აიკრძალება. მინისტრის თქმით, ლიცენზიის გარეშე მომუშავე სტომატოლოგიური კაბინეტები ადამიანების ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ამ დრომდე, სტომატოლოგიური კაბინეტის გასახსნელად ლიცენზია საჭირო არ იყო.

„სტომატოლოგიური კაბინეტი არ ექვემდებარებოდა და არ ექვემდებარება ლიცენზირებას, რაც დღეიდან შეიცვლება. ნებისმიერს შეეძლო ნებისმიერი აღჭურვის და ნებისმიერი ფართის სტომატოლოგიური აქტივობის დაწყება ისე, რომ სამინისტროს საქმის კურსშიც კი არ აყენებდა ამის შესახებ და შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა არანაირი ბერკეტი გაგვეკონტროლებინა რა ხდებოდა იქ“, - განაცხადა სერგეენკომ.

მინისტრის განცხადებით, სტომატოლოგიური კაბინეტების ლიცენზირების წესის შეცვლა მომსახურების გაძვირებას სავარაუდოდ არ გამოიწვევს.

„რისკების გათვლა ისე მოხდა, რომ ამან არ უნდა გააძვიროს მომსახურება, თუმცა თუ რისკებს გავთვლით, სასწორის ერთ პინაზე საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობა დევს ძალიან მაღალი რისკებით, C ჰეპატიტით და შიდსით“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

# ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუპოვის ცხედრებს შესაძლოა ექსგუმაცია ჩაუტარდეს

პრემიერ- მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მასთან ერთად გარდაცვლილი რაულ უსუპოვის ცხედრებს შესაძლოა ექსგუმაცია ჩაუტარდეს.

„ყველაფერი გამოძიებამ უნდა გაარკვიოს და ეს პროცესი მიმდინარეობს, გვამების ექსგუმაციაზეა საუბარი და ოჯახები გამოცოცხლდნენ. მეც მქონდა საუბარი გოგლა ჟვანიასთან, პროკურატურისგანაც ვიცი, რომ განახლდა ეს საქმე. დანარჩენს დაველოდოთ“, - განაცხადა ივანიშვილმა ბეჭდური მედიის და რადიოების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზე.

ამ ინფორმაციას რაულ უსუპოვის მამა იაშარ უსუპოვიც ადასტურებს. მისი თქმით, მუსლიმური წესის მიუხედავად, პროკურატურის მოთხოვნის შემთხვევაში, ოჯახი ექსგუმაციას დათანხმდება.

„ჩვენი წესით არ შეიძლება ექსგუმაცია, მაგრამ თუ პროკურატურამ მოითხოვა, თანახმა ვიქნებით იმისათვის, რომ სიმართლე გაირკვეს. მიდის ინტენსიური გამოძიება, ჩვენც ვთანამშრომლობთ, ხშირად ვართ პროკურატურაში. ხან ისინი გვიბარებენ, ხან ჩვენ თვითონ მივდივართ“, - განაცხადა იაშარ უსუპოვმა.

ზურაბ ჟვანიას ძმის გოგლა ჟვანიას თქმით, საქმეში აქამდე უცნობი მტკიცებულებები და გარემოებები გამოიკვეთა, რაზედაც გარდაცვლილთა ოჯახებს აქამდე ინფორმაცია არ ჰქონდათ.

„არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლების არსებობაც აქამდე არ ვიცოდით. ეს მტკიცებულებები ხელმისაწვდომი გახდა გამოძიებისთვის და ოჯახებისთვისაც მას შემდეგ, რაც გამოძიების პროცესი განახლდა. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ეს დეტალები გახდება წინაპირობა იმისა, რომ ეს საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნას“, - განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი 2005 წლის 3 თებერვალს, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ. ოფიციალური ცნობით, ისინი გამათბობლიდან გაჟონილი მომწამვლელი აირით გარდაიცვალნენ. საქმეზე გამოძიება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განახლდა.

# ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ფრაქცია „ნაციონალები“ დაიშალა... საკრებულოს 11 ოქტომბრის სხდომაზე „ნაციონალები“ ოფიციალურად გაუქმებულად გამოაცხადეს. არადა, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დეპუტატების 99%-ი ნაციონალური მოძრაობის კვოტით მოხვდა. საკრებულოში მოქმედი ორივე ფრაქციის რღვევის პროცესი 1 წლის წინ, ნაცმოძრაობის დამარცხების შემდეგ დაიწყო. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ფრაქცია „ნაციონალები“ 6-მა წევრმა დატოვა და დამოუკიდებელი ფრაქცია „ხორნაბუჯი“ შექმნა.

რამდენიმე დღის წინ ფრაქცია „ნაციონალების“ თავმჯდომარედ დედოფლისწყაროს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი აირჩიეს. რის შემდეგაც ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე ვანო ლაპიაშვილი ნაციონალებს გაემიჯნა და ახალი ფრაქცია შექმნა. მის ფრაქციაში დეპუტატები ზაზა ფიროსმანაშვილი და ზაზა შიოლაშვილი გაწევრიანდნენ. ლევან ბაღაშვილი კი თანაგუნდელებმა მარტო დატოვეს.

„სამი დეპუტატის შემადგენლობით ახალი ფრაქცია შეიქმნა, სახელად „დედოფლისწყარო“ ჰქვია და ჩვენი ძირითადი მიმართულება ინფრასტრუქტურულ საკითხებზე



მუშაობა იქნება, რაც დედოფლისწყაროს მოსახლეობას წაადგება. ფრაქციის პოლიტიკური შეხედულებები ამ ეტაპზე ნეიტრალურია,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ახლადშექმნილი ფრაქციის თავმჯდომარე ვანო ლაპიაშვილმა.

ამჯერად, საკრებულოში სამი ფრაქცია მოქმედებს: „მაჟორიტარები“, „ხორნაბუჯი“ და „დედოფლისწყარო“.

გაზეთი „შირაქი“ კომენტარისთვის ახლახან დაშლილი ფრაქცია „ნაციონალების“ თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილსაც დაუკავშირდა. ბაღაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს შეიკავებს. თუმცა რამდენიმე კვირის წინ ბაღაშვილი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ბევრი ინიციატივა აქვთ და ფრაქციაში განხორციელებული ცვლილება „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებას გულისხმობდა.

„ცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ბევრი ინიციატივა გვაქვს, რომელთაც ეტაპობრივად საკრებულოს სხდომებზე გავიტანთ. ამაზე დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებ“ — აცხადებდა ლევან ბაღაშვილმა.

ლევან ბაღაშვილი 2010-2012 წლებში ამავე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. პოსტი მან საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ დატოვა. გადადგომის თაობაზე ლევან ბაღაშვილმა განცხადება გასული წლის 21 ნოემბერს დაწერა. გადადგომის დროს ბაღაშვილმა საკრებულოს სხდომაზე აღნიშნა, რომ განცხადება საკუთარი თანაგუნდელების და საჯარო მოხელეების უსაფრთხოების მიზნით დაწერა, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ის კვლავაც აქტიურ მუშაობას დაიწყებდა.

ილია მარტყოფლიშვილი

# არჩევნებს 55 საერთაშორისო ორგანიზაცია დააკვირდება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, არჩევნებს 55 საერთაშორისო ორგანიზაცია დააკვირდება მათ შორის არიან: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES); ნატოს საპარლამენტო ასამბლეა; საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI); ბრიტანეთის, შვეიცარიის, ლატვიის, რუმინეთის, ბელორუსის, საფრანგეთის, იტალიის საელჩოები, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა;

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, რეგისტრაციაში გასატარებლად საერთაშორისო ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-7 დღისა (20 ოქტომბრის 18.00 საათამდე) ცესკოში სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი უნდა წარმოადგინოს. ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს ცესკო განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში წყვეტს.

რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა (25 ოქტომბრის 18.00 საათამდე) ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დამკვირვებელთა შესახებ და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული, საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შევსებული ანკეტები.

# ცესკომ კენჭისყრის შენობებში ფოტო – ვიდეო გადაღების შეზღუდვები გააუქმა

ცენტრალურმა საარჩევნო კიმისიამ, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობებში ფოტო-ვიდეო გადაღებაზე დაწესებული შეზღუდვების ნაწილი გააუქმა. აქამდე მოქმედი დადგენილებით, იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კამერით გადაადგილდებოდა ან დატოვებდა კენჭისყრის შენობას, კარგავდა კენჭისყრის შენობაში განმეორებით შესვლისა და ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოების უფლებას.

ასევე, საარჩევნო უბნის გახსნამდე, დილის 7-დან 8 საათამდე და ხმების დათვლის პერიოდში ფოტო-ვიდეო გადაღება უნდა მომხდარიყო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან; გადაღება უნდა მომხდარიყო ნებისმიერი სუბიექტიდან ან ობიექტიდან 3 მეტრით დაშორებული მანძილიდან; ხმის მიცემისათვის განკუთვნილი მთელი დროის განმავლობაში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება ჰქონდა ფოტო-ვიდეო გადაღება ეწარმოებინა არაუმეტეს 10 წუთისა. 10 წუთზე მეტი ხნით გადაღების მსურველს გადაღება შეეძლო მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან;

არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები ამგვარ შეზღუდვებს აპროტესტებდნენ და მის გაუქმებას ითხოვდნენ. დადგენილება მნიშვნელოვნად ზღუდავდა და აფერხებდა არჩევნების მიმდინარეობის დღეს საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

15 ოქტომბერს კოალიციის „მედიის ადვოკატირებისთვის“ და კოალიციის „არჩევანის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლები შეხვდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და წარუდგინეს კოალიციებში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ალტერნატიული წინადადება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოების მოსაწესრიგებლად. წინადადება ითვალისწინებდა დადგენილებაში იმგვარი ცვლილებების შეტანას, რაც საშუალებას მისცემდა მედიის წარმომადგენლებს შეუფერხებლად გადაიღონ კენჭისყრის დღის მათთვის საინტერესო მოვლენები და ამავდროულად უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

16 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა 2012 წლის N42 დადგენილება, რომელიც საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღების პროცედურებს არეგულირებს. კომისიის გადაწყვეტილებით, დადგენილებიდან ამოღებულია პირველი მუხლის 2 პუნქტი - „დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის კაბინის ფოტო-ვიდეო გადაღება“, რადგან საარჩევნო კოდექსის მე-8-ე მუხლის 25-ე პუნქტიკენჭისყრის შენობაში კენჭისყრის კაბინის ფოტო-ვიდეო-გადაღების აკრძალვის საკითხს ისედაც არეგულირებს, რომლის თანახმადაც, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისთვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტო-ვიდეო გადაღება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე გააუქმა დადგენილების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც კენჭისყრის შენობის დატოვების შემთხვევაში უფლებამოსილი პირი შენობაში დაბრუნების უფლებას კარგავდა (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი).

ამავე დადგენილების მეორე მუხლის მე-2 პუნქტი კი ახალი რედაქციით ყალიბდება: „მინიმალური მანძილი ნებისმიერი პირისთვის ფოტო-ვიდეო გადასაღებად უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრით დაშორებული გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კენჭყისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას. ასეთ შემთხვევაში გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე“.

# დედოფლისწყაროში დაკომპლექტდა საუბნო-საარჩევნო კომისიები. გთავაზობთ მათ შემადგენლობას და მისამართებს:

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ელიზბარ | იმერლიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 1 | ზურაბ | კოკილაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 1 | ლალი | ზურაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 1 | ქეთევან | დოლიძე | წევრი | ოლქი |
| 5 | 1 | ნათელა | აბულაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 1 | ნინო | გოგილაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 1 | ელენე | ბენაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული |
| 8 | 1 | მაიკო | ალადაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 1 | ნანული | კიკილაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 1 | ლენა | პიპიაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 1 | ლევან | მჭედლიშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 1 | მანანა | სულაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 1 | მარიამ | ხარაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | ნოდარ | ტოკლიკიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 2 | იური | გოგოჭური | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 2 | ნინო | წიკლაური | მდივანი | ოლქი |
| 4 | 2 | თამილა | პოპიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 2 | ნონა | კვანჭილაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 2 | თამარ | ჯამასპიშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 2 | ლალი | ტოკლიკიშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 8 | 2 | მარინე | მარტაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 9 | 2 | ნუგზარ | სიფრაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 2 | ქეთევან | ბუჩუკური | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 11 | 2 | ლელა | ბექაური | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 12 | 2 | ბესიკ | სეფიაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | 2 | თამარ | ცისკარაული | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | გივი | ბუჩუკური | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 3 | ხათუნა | ხატიაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 3 | ლია | ნატროშვილი | მდივანი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 4 | 3 | ასმათი | გიორგანაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 3 | ქეთევან | წერეთელი | წევრი | ოლქი |
| 6 | 3 | ნანული | ჭილიტაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 3 | ქეთევან | ყოჩიაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 3 | ლელა | ამბარდნიშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 3 | ირმა | თარაშვილი | წევრი | ოლქი |
| 10 | 3 | ლამარა | მაჭარაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 3 | ნანა | ძნელაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 12 | 3 | ნინო | კობაიძე | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | 3 | ლალი | პოპიაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | ნუნუ | გოგაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 4 | ნატალია | ხუციშვილი | მოადგილე | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 3 | 4 | ნონა | ზუბიაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 4 | ალექსანდრე | ჯაგაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 4 | დავით | ბატიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 4 | მაია | ალადაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 4 | ნინო | ბიძინაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 | 4 | ბელა | კოტაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 4 | ანა | ალადაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 4 | ლალი | ბაღაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 4 | მაია | ჯინაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 12 | 4 | თამარ | ღორაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | 4 | მაია | პუტრიაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | ანა | ლათიბაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 5 | მარინა | ოზაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 5 | მანანა | ჯაფოშვილი | მდივანი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 4 | 5 | ნათია | ყაჭაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 5 | მზია | ბზუკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 5 | ნინო | ქუშაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 5 | ფიქრია | ლეგაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 5 | ქეთევან | ტოკლიკიშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 5 | მანანა | მეხრიშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 5 | მარინა | ბენაშვილი | წევრი | ოლქი |
| 11 | 5 | ქრიტინე | კიკილაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 12 | 5 | სოსო | თევზაძე | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | 5 | ქეთევან | გოგილაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | ნინო | სულიაშვილი-[illegible] | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 6 | ანნა | გურაშვილი | მოადგილე | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 3 | 6 | ლალი | ფიროსმანაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 6 | ლიანა | გონაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 6 | თამარ | ტუხაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 6 | მარინე | ქადაგიძე | წევრი | ოლქი |
| 7 | 6 | ნინო | გონაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 | 6 | ნონა | ჯიმშიტაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 6 | ნათელა | გოგოჭური | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 6 | თეა | სულაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 6 | სპარტაკი | სულაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 12 | 6 | უშანგი | კორაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 13 | 6 | ეკა | ფიროსმანაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 10 | ნათელა | ზუბადალაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 10 | ზაური | გონაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 10 | ელიზა | ყოჩიაშვილი | მდივანი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 4 | 10 | სპირიდონ | ჯარიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 10 | დალი | ბიკაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 10 | ნანული | ქემაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 10 | ლელა | თარაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 | 10 | იური | ლობჯანიძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 10 | ლელა | გავაშელიშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 10 | ნათელა | ალუღიშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 10 | ზურაბ | დათუკიშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 10 | ბელა | ლობჯანიძე | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 10 | გივი | ლობჯანიძე | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 11 | მაია | ალადაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 11 | კახაბერ | ხატიაშვილი | მოადგილე | საქართველოს კონსერვატიული პარტია |
| 3 | 11 | მანანა | ლამაზოშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 11 | იამზე | ალუღიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 11 | თამარ | ჩიხლაძე | წევრი | ოლქი |
| 6 | 11 | ჯულიეტა | წივილაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 11 | ქეთევან | ყოჩიაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 11 | მარინა | დარძულიძე-ნათელაძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 11 | ზვიად | ჯოჯიკაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 11 | ნელი | სეხნიშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 11 | ნონა | გოგილაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 11 | ვიტალი | ყოჩიაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 11 | ლილი | ჯამასპიშვილი | წევრი | ოლქი |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 12 | ბესიკ | ქავთარაძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 12 | ნანული | პავლიაშვილი | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 | 12 | ლეილა | აფციაური | მდივანი | ოლქი |
| 4 | 12 | მარინე | აქიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 12 | ენგული | ბექაური | წევრი | ოლქი |
| 6 | 12 | ფატიმა | წიკლაური | წევრი | ოლქი |
| 7 | 12 | ნინო | გაგაძე | წევრი | ოლქი |
| 8 | 12 | კახა | ქავთარაძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 12 | გოგია | თინიკაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 12 | ნუგზარ | პაპიაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 11 | 12 | ქეთევან | კედელაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 12 | თამარ | ბუბუნაური | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 12 | ნონა | ბრაჭულიშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

(გაგრძელება გვ.4)

# დედოფლისწყაროში დაკომპლექტდა საუბნო-საარჩევნო კომისიები. გთავაზობთ მათ შემადგენლობას და მისამართებს:

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 13 | თამარ | ქენქაძე | თავმჯდომარე | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 2 | 13 | ალექსანდრე | ოღაძე | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 13 | ნინო | გვრიტიშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 13 | თამარ | ოთინაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 13 | ნინო | ნათაძე | წევრი | ოლქი |
| 6 | 13 | ნანული | ჭინჭარაული | წევრი | ოლქი |
| 7 | 13 | ლეილა | ოღაძე | წევრი | ოლქი |
| 8 | 13 | გელა | თანდილაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 13 | ქეთევან | ჭიკაიძე | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 13 | ქენია | ბუქური | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 13 | ირმა | გაბრიელაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 13 | ნინო | პეტრიაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 13 | იამზე | უკლება | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 14 | ვაჟა | ვეშაგური | თავმჯდომარე | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 2 | 14 | გოჩა | ანთაური | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 14 | ნიაზი | დავითური | მდივანი | ოლქი |
| 4 | 14 | შორენა | საქიძე | წევრი | ოლქი |
| 5 | 14 | ხათუნა | არაბული | წევრი | ოლქი |
| 6 | 14 | ავთანდილ | ჭინჭარაული | წევრი | ოლქი |
| 7 | 14 | ლალი | ბექაური | წევრი | ოლქი |
| 8 | 14 | ლევან | ბერელაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 14 | თეიმურაზ | წიკლაური | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 14 | თამარ | ვეშაგური | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 14 | ეთერ | ჭინჭარაული | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 14 | ლალი | ვეშაგური | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 14 | გივი | ჩოხელი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15 | გიორგი | წიკლაური | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 15 | თამარ | ქუმსიაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 15 | ნინო | ბაინდურაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 15 | ლელა | დემეტრაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 15 | დარეჯან | მახაური | წევრი | ოლქი |
| 6 | 15 | თინა | მჭედლური | წევრი | ოლქი |
| 7 | 15 | მამუკა | ქისტაური | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული |
| 8 | 15 | ზაურ | კაიშაური | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 15 | თამარ | ჩარბოდაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 15 | მერი | ხიზანაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 15 | მარინა | ცინცაძე | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 15 | იგორ | იანვარაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 15 | თამარ | ბერიანიძე | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 16 | ფირუზ | ჯაიანი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 16 | ზურაბ | შაინიძე | მოადგილე | თავისუფალი დემოკრატები |
| 3 | 16 | მაია | საკანელაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 16 | მერი | მელიქიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 16 | მერი | ხარაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 16 | მზია | ფიროსმანაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 16 | ნორა | აბაშიძე | წევრი | ოლქი |
| 8 | 16 | მერაბ | ცეცხლაძე | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 9 | 16 | გია | ბერიძე | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 16 | ნარგული | ზანდარაძე | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 16 | ირმა | ათაბაგი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 16 | შალვა | თაგოშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 16 | ისმაილ | მჟავანაძე | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 17 | შოთა | სურმანიძე | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 17 | ნოდარ | ხოზრევანიძე | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 17 | მზიური | ფუტკარაძე | მდივანი | ოლქი |
| 4 | 17 | ზურაბ | ვაშაყმაძე | წევრი | ოლქი |
| 5 | 17 | მზია | ხილაძე | წევრი | ოლქი |
| 6 | 17 | რამინი | წილოსანი | წევრი | ოლქი |
| 7 | 17 | ამირან | ბერიძე | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 17 | ნუკრი | ბიბინიძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 17 | ციური | ტაკიძე | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 17 | მიხეილ | ქიზინიძე | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 17 | მარინე | ნასრაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 17 | ზვიად | გორგაძე | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 17 | შაქრო | ხილაძე | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 18 | ნუნუ | ქადაგიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 18 | კარინე | მოსიანი | მოადგილე | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო |
| 3 | 18 | სედა | არუსტამიანი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 18 | ლია | ოვსეპიანი | წევრი | ოლქი |
| 5 | 18 | სოფიო | მამაჯანაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 18 | კარენ | აღაჯანიანი | წევრი | ოლქი |
| 7 | 18 | სონია | აღაჯანიანი | წევრი | ოლქი |
| 8 | 18 | ტოლიკ | დანელიანი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 18 | ტარიელ | ტაკიძე | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 18 | გოგი | პეტროსიანი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 18 | მარიამ | აივაზიანი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 18 | აიდა | აბაზიანი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 18 | ლამზირა | სურმანიძე | წევრი | კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 19 | მარინე | ცხვედიაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 19 | შალვა | იაკობიშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 19 | თამარ | ხარაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 19 | მაკა | ჯანაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 19 | მზია | ზარაფიშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 19 | ოლია | ზუბიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 19 | მარინა | სინჯიაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 19 | თამარ | ნატროშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 19 | ეკა | დოლიძე | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 19 | ნინო | ლოლაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 19 | გოგიტა | რობიტაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 19 | ეთერ | ბაცაცაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 19 | ლალი | შიუკაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 20 | გიორგი | ალუღიშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 20 | ზაალ | ალადაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 20 | ქეთევან | ალუღიშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 20 | მაია | ტოკლიკიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 20 | მაია | გონაშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 20 | ნანა | სეხნიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 20 | თინათინ | ელაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 8 | 20 | ბელა | მამუკაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 20 | ნონა | ნიკოაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 20 | ნაირა | ზურიკაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 20 | თამარ | ბაღაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 20 | ავთანდილ | ხარაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 20 | შორენა | მამულაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 21 | ნოდარ | ზურაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 21 | მაგული | გონაშვილი | მოადგილე | ოლქი |
| 3 | 21 | ეკატერინე | ბერიაშვილი | მდივანი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 4 | 21 | თამილა | ტუხაშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 21 | მარიამ | ტოკლიკიშვილი | წევრი | ოლქი |
| 6 | 21 | ლიანა | ყოჩიაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 21 | მზია | ხუციაშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 | 21 | ნინელი | იაკობიშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 21 | გურანდა | ბოსტოღანაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 21 | მაია | სესიტაშვილი | წევრი | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 11 | 21 | ელიზბარ | ბენაშვილი | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 21 | ნუგზარ | სეხნიაშვილი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 21 | ლია | მენთესაშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 22 | დავით | დუღაშვილი | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 22 | ვალენტინა | ვალუისკაია | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 | 22 | ნინო | დევრისაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 22 | ციცინო | ვარდაშევი | წევრი | ოლქი |
| 5 | 22 | ვალერი | გეზუმიანი | წევრი | ოლქი |
| 6 | 22 | ლია | თარაშვილი | წევრი | ოლქი |
| 7 | 22 | მაია | ნავლიშვილი | წევრი | ოლქი |
| 8 | 22 | იზოლდა | ჯანაშვილი | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 22 | ლიანა | ზანგელოვა | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 22 | ნატალია | გურეგიანი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 11 | 22 | ნატალია | ქადაგიძე | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 22 | ჟანა | ბაბაიანი | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 22 | ნინო | ჯამასპიშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

| № | უბნის № | სახელი | გვარი | თანამდებობა | დამნიშნავი სუბიექტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 23 | ნანი | წიკლაური | თავმჯდომარე | ოლქი |
| 2 | 23 | მანანა | უძილაური | მოადგილე | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს |
| 3 | 23 | მაია | გულიაშვილი | მდივანი | ოლქი |
| 4 | 23 | თამილა | ჩეკურიშვილი | წევრი | ოლქი |
| 5 | 23 | თეა | ბურდული | წევრი | ოლქი |
| 6 | 23 | ნათელა | უძილაური | წევრი | ოლქი |
| 7 | 23 | ნონა | წიკლაური | წევრი | ოლქი |
| 8 | 23 | ხვიჩა | ოგბაიძე | წევრი | თავისუფალი დემოკრატები |
| 9 | 23 | ლამზირა | ჯლუთაშვილი | წევრი | საქართველოს რესპუბლიკური პარტია |
| 10 | 23 | მაია | ქოჩაშვილი | წევრი | ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" |
| 11 | 23 | ნინო | ბუქური | წევრი | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 12 | 23 | ნინო | წიკლაური | წევრი | ეროვნული ფორუმი |
| 13 | 23 | ნუნუ | ბუჯირიშვილი | წევრი | საქართველოს კონსერვატიული პარტია |

## დედოფლისწყაროს №14 საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

| № | სახელი | გვარი | დამნიშნავი პარტია | როდის დაინიშნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | დავით | ბუჩუკური | საოლქო | 2006.03 |
| 2 | ნინო | ბულაშვილი | საოლქო | 2006.03 |
| 3 | დავით | მაღარაშვილი | საოლქო | 2006.03 |
| 4 | ნინო | მჭედლიშვილი | საოლქო | 2006.03 |
| 5 | ბელა | ბასილაშვილი | საოლქო | 24.07.2013 |
| 6 | გია | შუშტაკაშვილი | ცესკო | 08.07.2013 |
| 7 | ლია | ჯანიკაშვილი | საქ.კონსერვატიული პარტია | 06.07.2013 |
| 8 | დავით | ნასრაშვილი | მრეწველობა გადაარჩენს საქ.ს | 08.07.2013 |
| 9 | მედეა | ზავრაშვილი | ეროვნული ფორუმი | 16.07.2013 |
| 10 | მაკა | მენთეშაშვილი | თავისუფალი დემიკრატები | 06.07.2013 |
| 11 | ნინო | ფიროსმანაშვილი | ქართული ოცნება | 07.07.2013 |
| 12 | ბიჭიკო | მაისურაძე | რესპუბლიკური პარტია | 06.07.2013 |
| 13 | ზურაბ | ყოჩიაშვილი | ნაციონალური მოძრაობა | 08.07.2013 |

| ოლქის № | უბნის № | უბნის დასახელება | უბნის განთავსების ადგილი | მისამართი |
|---|---|---|---|---|
| 14 | 1 | ქ.დ/წყაროს საარჩევნო უბანი | ქ.დედოფლისწყარო კუტსახლი | ქ.დ/წყარო კოსტავას 1 |
| 14 | 2 | ქ.დ/წყაროს საარჩევნო უბანი | ქ.დედოფლისწყარო №2 საჯარო სკოლა | ქ.დ/წყარო 9აპრილის 149 |
| 14 | 3 | ქ.დ/წყაროს საარჩევნო უბანი | ქ.დედოფლისწყარო №4 ბაგა-ბაღი | დ/წყარონიკორციხის111 |
| 14 | 4 | არბოშიკის საარჩევნო უბანი | არბოშიკის მუსიკალური სკოლა | სოფ.არბოშიკი |
| 14 | 5 | ოზაანის საარჩევნო უბანი | ოზაანის ბაგა-ბაღი | სოფ.ოზაანი |
| 14 | 6 | გამარჯვების საარჩევნო უბანი | გამარჯვების ბაგა-ბაღი | სოფ.გამარჯვება |
| 14 | 7 | სოფ.ხორნაბუჯის საარჩ.უბანი | სოფ.ხორნაბუჯის ბაგა-ბაღი | სოფ.ხორნაბუჯი |
| 14 | 8 | სოფ.ზ/მაჩხაანის საარჩ.უბანი | სო.ზ/მაჩხაანის ყოფ.დაწყებითი სკოლა | სოფ.ზ/მაჩხაანი |
| 14 | 9 | სოფ.ზ/მაჩხაანის საარჩ.უბანი | სოფ.ზ/მაჩხაანის საჯარო სკოლა | სოფ.ზ/მაჩხაანი |
| 14 | 10 | სოფ.მირზაანის საარჩ.უბანი | სოფ.მირზაანის საჯარო სკოლა | სოფ.მირზაანი |
| 14 | 11 | სოფ.სამრეკლოს საარჩ.უბანი | სოფ.სამრეკლოს კულტურის სახლი | სოფ.სამრეკლო |
| 14 | 12 | სოფ.ზ/ქედის საარჩ.უბანი | სოფ.ზ/ქედის კულტურის სახლი | სოფ.ზ/ქედი |
| 14 | 13 | სოფ.ზ/ქედის საარჩ.უბანი | სოფ.ზ/ქედის №2 საჯარო სკოლა | სოფ.ზ/ქედი |
| 14 | 14 | სოფ.არხილოსკალოს ს.უბანი | სოფ.არხილოსკალოს ბაგა-ბაღის შენობა | სოფ.არხილოსკალო |
| 14 | 15 | სოფ.ქ/ქედის საარჩ.უბანი | სოფ.ქ/ქედის საჯარო სკოლა | სოფ.ქ/ქედი |
| 14 | 16 | სოფ.სამთაწყაროს საარჩ.უბანი | სოფ.სამთაწყაროს ბაგა-ბაღის შენობა | სოფ.სამთაწყარო |
| 14 | 17 | სოფ.ფიროსმანის საარჩ.უბანი | სოფ.ფიროსმანის საჯარო სკოლა | სოფ.ფიროსმანი |
| 14 | 18 | სოფ.საბათლოს საარჩ.უბანი | სოფ.საბათლოს საჯარო სკოლა | სოფ.საბათლო |
| 14 | 19 | ქ.დ/წყაროს საარჩევნო უბანი | ქ.დ/წყაროს ვეტ.ლაბორატორიის შენობა | ბარათაშვილის №19 |
| 14 | 20 | ქ.დ/წყაროს საარჩევნო უბანი | ქ.დ/წყარო №3 ბაგა-ბაღის შენობა | ნიკო გომელაურის №18 |
| 14 | 21 | სოფ.სამრეკლოს საარჩ.უბანი | სოფ.სამრეკლოს საჯარო სკოლა | სოფ.სამრეკლო |
| 14 | 22 | სოფ.ხორნაბუჯის საარჩ.უბანი | სოფ.ხორნაბუჯის მუზეუმის შენიბა | სოფ.ხორნაბუჯი |
| 14 | 23 | სოფ.ქ/ქედის საარჩ.უბანი | სოფ.ქ/ქედის ყოფილი დაწყებითი სკოლა | ქვემო ქედი |

# „ნაკურთხი მარილი მოტანილია?! - უკვე მოტანილია!“

## შეხვედრა მწერალთან

ქიზიყელებს ასეთი ხასიათი გვაქვს, ძლიერები, მაგრამ ამავე დროს უსაზღვროდ თავმდაბლები ვართ, განა იმიტომ რომ არ ვიცით, ან არ შეგვიძლია, უბრალოდ, უსაზღვროდ ვაჟკაცურები ვართ და ყელყელაობას სიდინჯეს ვარჩევთ. არავის ვეპრანჭებით, არავის ვახვევთ ჩვენს აზრებს, ვართ ის, რაც ვართ და არც მიგვაჩნია, რომ დიდ რამეს წარმოვადგენთ. თუმცა ჩვენში იმხელა პოტენციალია, რომ არა ასეთი დიდი თავმდაბლობა, ალბათ უფრო შორს ვიქნებოდით წასულნი, მაგრამ ვინ იცის კარგიცაა, ვმუშაობთ ჩუმად, უხმაუროდ, რომელიც მერე, წლების მერე დაიძახებს და თუ დაიძახა, მართლა ძარღვიანად დაიძახებს. რომ არა 1980-იან წლებში მირზაანში საფრანგეთიდან ჩამოსული საფრანგეთის კულტურის მინისტრი ჟან მარე და იქაური ჟურნალისტები, რომლებმაც პირველებმა გაიტანეს ფიროსმანის სახელი მსოფლიოში, დაწერეს ჟურნალ-გაზეთებში და ნიკო ფიროსმანი ჯერ მსოფლიო შედევრების მხატვარ რუსოს შეადარეს, ხოლო შემდეგ მისი ტილოები მსოფლიოს გენიალურ ქმნილებებად შეაფასეს, ალბათ ჩვენს საზოგადოებას დღემდე არ ეცოდინებოდა ფიროსმანის ფასი. შემთხვევითი შედარება არ მომყავს, ასეთი ბედისწერა ერგო ნი-



ლად ჩვენი კუთხის შვილის ჯემალ მეხრიშვილის ლიტერატურულ საქმიანობას და შემოქმედებას. ტყუილად როდის უთხრა ფიროსმანის მუზეუმის დირექტორმა ანზორ მაძღარაშვილმა შეხვედრაზე ჯემალ მეხრიშვილს, შენ ფიროსმანის სერებზე ასვლისას არც დედა მოგდევდა გვერდით და არც დეიდა, შენ გვერდში ნიკო ფიროსმანი მოგდევდა, ფიროსმანისავე ბედი გაქვს გაზიარებული, მასავით მძიმე ხვედრი გხვდა წილად, მაგრამ დრო მოვა და შენი კალამი ძალუმად დაფასდებაო. -ეს უდიდესი სიტყვები გახლდათ, რომელიც მართლაც დამსახურებულად ეკუთვნოდა ჯემალ მეხრიშვილს. თუ ფიროსმანი ფუნჯით ხატავდა მირზაანის სერებს და ისე ხატავდა, რომ დღესაც აცოცხლებს მაშინდელ ყოფას, ჯემალ მეხრიშვილი ლამაზი ქართული სიტყვებით ხატავს ქიზიყელთა ყოფა- ცხოვრებას და ისე ლამაზად ხატავს, რომ შენც იმ გარემოში გეგონება თავი.

თუ არა ფიროსმანის ბედის თანაზიარობა, მაშინ აბა რა არის თუნდა ეს ამბავი. მე ერთხელ მქონდა შეხვედრა ლანჩხუთში, იქაური მუზეუმის დირექტორთან ქალბატონ დარეჯან ბიწაძესთან, რომელმაც ჩემი წარმომავლობა რომ გაიგო, ბოდბისხევის ბაზარი მიხსენა, - გაოცებულმა ვკითხე, საიდან იცოდა მან ჩვენსკენ არსებული ერთი უბრალო ბაზარი, ასე მიპასუხა, როგორ თუ საიდან, განა მწერალი ჯემალ მეხრიშვილი მაგ მხრიდან არ არის?! სწორედ მისი ნაწარმოებებიდან ვიცი ეგ ადგილიცო. არაჩვეულებრივი მწერალი გყავთ, მე ვიცი მისი შემოქმედებაო. - სიმართლე გითხრათ თვალზე ცრემლი მომადგა და დიდი სიამაყე დამეუფლა, მაგრამ გულიც ჩამწყდა, იცით რატომ, სხვამ, დასავლეთ საქართველოში იცოდა ჩვენიანის ფასი, ჩვენში კვლავ გვიჭირს ჩვენიანის დაფასება. მე მახსენდება ჯემალ მეხრიშვილის ერთი ჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს მწერლის ბედისწერაც, როგორი ბედისწერაც არაერთ ჩვენს დიდ და ნამდვილ მწერალს განუცდია. ერთ-ერთ წიგნში ბატონი ჯემალ მეხრიშვილი წერს, თუ როგორ მიიტანა თავისი ნაწარმოებები „კვირის პალიტრის“ რედაქციაში და ერთი წლის შემდეგ, როდესაც ნახა, რომ „პალიტრა ელ“-ის არცერთმა გამოცემამ არათუ არ დაბეჭდა მისი ნაწერები, არამედ სავსებით წესრიგის მოყვარულ მწერალს მოუწესრიგებელ თაბახთა ერთობლიობაში და ალიაქოთში დაუკარგეს კიდეც, რამაც მწერლის გულისწყრომა გამოიწვია, უფრო მეტად კი იმან, რომ ამავე გამოცემამ შემდეგ არაერთი ახალბედა და მდარე ზოგიერთი ვაი მწერლების ნაწერები წიგნებად გამოსცა და ის ქართველ საზოგადოებას შესთავაზა, ხოლო ჯემალის ძარღვიანი ქართული სიტყვის ფასი ვერ გაიგეს და უგულებელყვეს. ესეც კიდევ ჩვენი საზოგადოების ერთი სენი, გულისტკივილი და სირცხვილი, რამაც ჯემალ მეხრიშვილს კრიტიკის კალამი აალებინა ხელში და შეექიდა საკმაოდ ცნობილ მწერლებს, ეს მართლაც დიდი ცოდნის და დიდი გამბედაობის გამოხატულებაა, თუმცა, ყველამ ვუწყით ისიც, რომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია ასეთი მწარე ბედისწერა.

დიახ, ეს მართლაც დიდი ადამიანი აქამდეც იყო ჩვენგან დასაფასებელი და მოსაფერებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, წლების მანძილზე, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს შეხვერდა ვერაფრით შედგა. ალბათ იმიტომ, რომ ხელმძღვანელმა პირებმა არ იცოდნენ ჯემალ მეხრიშვილის ფასი. და აი, გამგეობის კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის ხელმძღვანელად მოდის ქალბატონი თამარ თამაზაშვილი, რომელიც ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედებით დაინტერესდა და მისი უზომოდ დამფასებელიც, სწორედ მისი ძალიასხმევითა და ორგანიზატორობით შედგა ის ლამაზი და საოცნებო საღამო, რომელსაც მწერალ ჯემალ მეხრიშვილთან შეხვედრა ჰქვია. შედგა და ძალიან ლამაზადაც შედგა.

შემოდგომის ერთ ლამაზ დღეს, 13 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში დიდი დღესასწაული იყო. აქაურ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, მწერალ ჯემალ მეხრიშვილს შეხვედროდა და გაეცნო იგი. მათ ვისაც ლიტერატურა უყვარს, ვისაც ჯემალის შემოქმედება უყვარს, ვისაც თავისი კუთხე და სამშობლო უყვარს, ამაზე ლამაზ ფონს ამ დღისთვის ალბათ ვერ შეიქმნიდა, დღე, რომელიც სულიერ საგზლად მთელი წელი გაგვყვება იქ დამსწრეთ.

მისვლისთანავე ჯემალის გარშემო ჩვენი გაზეთის „შირაქის“ წარმომადგენლები შევამჩნიე, მის გარშემო ტრიალებდნენ კლარა ოზაშვილი, შოთა ბიკაშვილი, ნაირა გორაშვილი და ყველას სახეზე ნათელი გადაჰფენოდა, ყველას უხაროდა მწერლის გვერდში დგომა, თავად მწერალიც ვერ ფარავდა ემოციებს, თავისი კუთხის ხალხთან და მშობლიურ კოლექტივთან შეხვედრის გამო, ის ხომ რამდენიმე წელი „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა, მისი პირველი ლეტერატურული ნაწარმოებებიც დღის სინათლეზე პირველად სწორედ ამ გაზეთიდან გამვიდა.

ვინ არ ესწრებოდა ამ შეხვედრას, აქ რაიონის მთელ ელიტარულ საზოგადოებას მოეყარა თავი. სიტყვით გამოვიდნენ და მოეფერნენ მწერალს -ჯუმბერ უთრუთაშვილი, ანზორ მაძღარაშვილი, ნაირა გორაშვილი, ნელი გობეჯიშვილი, კლარა ოზაშვილი, თამარ თამაზაშვილი, ნანული ნატროშვილი, ოზაანის სკოლის მოსწავლე სალომე თარაშვილი. ღონისძიებას უძღვებოდა კულტურის სახლის დირექტორი ქალბატონი ცარო მარტიაშვილი, რომელმაც ძალიან კარგად წარმოაჩინა მწერლის სახე და ლამაზად განიხილა მისი შემოქმედება. ამავე საღამოს თავის ხიბლს მატებდა დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ანსამბლ „ხორნაბუჯის“ და სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლში ახლად ჩამოყალიბებულ ქალთა ანსამბლის სიმღერები. ჯემალ მეხრიშვილს ფოპრტეპიანოზე რამდენიმე ნაწარმოები შეუსრულა მუსიკის პედაგოგმა ნინო ნიკვაშვილმა და მისმა მოსწავლემ მალვინა ისმაილოვამ. მთელი საღამოს მანძილზე სცენაზე გაშლილ ეკრანზე გადიოდა ჯემალ მეხრიშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალა. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯემალ მეხრიშვილი არის ერთადერთი პროზაიკოსი ჩვენს მხარეში და მისი წვლილი ქიზიყური დიალექტის არ დაკარგვის მხრივ, ფასდაუდებელია.

მომეწონა ჯუმბერ უთრუთაშვილის გამოსვლა, რომელმაც დიახაც, დროულად და დამსახურებულად აღნიშნა, რომ სასურველია, რაიონის საპატიო მოქალაქეთა შორის ჯემალ მეხრიშვილი დასახელდესო.

საინტერესო იყო ქალბატონი ნაირა გორაშვილის ვრცელი გამოსვლა, რომელმაც ჯემალის მაღალმხატვრულ ხატოვანებაზე ისაუბრა და მოყვა,თუ როგორ დაიბეჭდა წლების წინ „ახალ შირაქში“ ჯემალის ეგვიპტეში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, სადაც მწერალი ისე ზედმიწევნით აღწერს ეგვიპტის საოცარ პირამიდებს, თითქოს იქვე ყოფილიყოს მკითხველი. ქალბატონმა ნაირამ ჯემალ მეხრიშვილის პიროვნულ მხარეზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ იგი არის შეუდარებელი მეგობარი,უაღრესად ერუდირებული, კარგი მჭერმეტყველი, მეტისმეტად წესრიგის მოყვარული, უზომოდ სამართლიანი და პატიოსანი ადამიანი და რაც ყველაზე მთავარია, არის უიშვიათესად გამორჩეული მწერალი მწერალთა შორის.

თავის გამოსვლაში კლარა ოზაშვილმა აღნიშნა, რომ ჯემალი მისი ყველაზე დიდი მეგობარი იყო, რომელთანაც ძალიან ახლო და დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა, რომელიც წლები გაგრძელდა, მაშინაც კი, როცა ჯემალ მეხრიშვილი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.

ანზორ მაძღარაშვილმა ჯემალ მეხრიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიროსმანს შეადარა, ჯემალის უზადო თავმდაბლობას გაუსვა ხაზი და შემოქმედი ადამიანის მძიმე ხვედრზე ისაუბრა, რაც ალბათ აუცილებელი იყო, რომ ჯემალსაც გაევლო.

ნელი გობეჯიშვილმა კი სიამაყით აღნიშნა, რომ სწორედ მან მოიწვია ჯემალ მეხრიშვილი ორჯერ ფიროსმანობის დღესასწაულზე და ორჯერვე, როდესაც ტრანსპორტი დაახვედრა მირზაანში ასასვლელად, ჯემალ მეხრიშვილისგან პრინციპული უარი მიუღია, რადგან მწერალს ბავშვობის ტრადიციისთვის არ უღალატია და ორჯერვე ფეხით აუვლია ნაცნობი სერები და ბილიკები მირზაანამდე. რითაც ქალბატონმა ნელიმ მწერლისეულ თავისებურებას, მისეულ ხედვას და განცდებს გაუსვა ხაზი, რითაც მისი თავმდაბლობა დაგვანახა. ქალბატონმა ნელიმ ხაზი გაუსვა ასევე იმ ამბავს, რომ ჯემალ მეხრიშვილი გახლდათ სწორედ ის პირველი გაბედული მწერალი და შემოქმედი, რომელმაც ფიროსმანობაზე, უამრავი სტუმრისა და ცეკას მდივნების თანდასწრებით, თავის გამოსვლაში ხმამაღლა ალაპარაკდა პოლიტიკაზე, დაგმო და გააკრიტიკა მაშინდელი რეჟიმი, რაც ახლა ადვილი და იუმორის მომგვრელი სასაუბროა, მაგრამ მაშინ სტუმრებიც და მასპინძლებიც გემოზე აანერვიულა.

მშობლიური სკოლიდან სიტყვით გამოვიდა ოზაანის სკოლის მოსწავლე სალომე თარაშვილი, რომელიც სოფლის სახელით თბილი სიტყვებით მოეფერა მწერალს, აღნიშნა, რომ მათი სკოლის ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯემალის წიგნებს და მხატვრულად წაიკითხა ლექსი „პოეტს“.

სიტყვა წარმოსთქვა პედაგოგმა, ისტორიკოსმა ნანული ნატროშვილმაც,

- „ბატონო ჯემალ, ჩემი მეუღლე თქვენი ფესვებიდან, სოფელ ოზაანიდან იყო, ჩემი შვილები ამ მიწის შვილები არიან და ამდენად, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მეც მეთქვა ორიოდ სიტყვა თუ სამადლობელი თქვენთვის. თქვენ ხართ მწერალი, რომელიც, სულით ხორცამდე პატრიოტია, რამეთუ, უპირველესად, სწერთ საკუთარ ხალხზე, სოფელზე, გარშემომყოფებზე, შირაქის ველებზე და იმ ყველაფერზე, რაც ასე ახლობელია აქაური კაცისთვის. თქვენ ხართ მწერალი, რომელმაც ქალაქელებს სოფელი ასწავლა და სოფლელებს ქალაქი. თქვენ ხართ მწერალი, რომელმაც სრულიად უბრალო, მაგრამ ძარღვიანი ქართული სიტყვით ქვეყნის სიყვარული ასწავლეთ ადამიანებს. ეს ყველაფერი კარგად ჩანს თქვენსავე ნაწარმოებებში, თქვენი „მაისის თაფლი“ „ნაკურთხი მარილი“„შირაქის ველზე“ თუნდაც „დარდიმანდული მოგონებები“, რომელიც მიუძღვენით თქვენს მეგობარს ლაშა გახარიას, თქვენი კრიტიკული ნაწარმოებები, სადაც არანაკლებად ცნობილ დიდ მწერლებს შეეჭიდეთ, ეს ხომ დიდი ცოდნის საფუძვლებიდან მოდის! განცვიფრებაში ვარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თქვენით უნდა ამაყობდეს სოფელი ოზაანი, მთლიანად დედოფლისწყაროს რაიონი და სრულიად საქართველო, თუმცა ჩვენ ქიზიყელები ვართ, დინჯი ხალხი და გვიან ვიცით ჩვენიანის შენიშვნა და დაფასება, რისთვისაც მე შემიძლია მოკრძალებული ბოდიშიც მოგიხადოთ. მადლობა, რომ ჩამობრძანდით და მადლობა, რომ ასეთი ლამაზი ლიტერატურული ქმნილებები გვაჩუქეთ!“

და ბოლოს, სიტყვით გამოვიდა გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, - „ძალიან ვღელავდი ამ დღის გამო, ვღელავდი იმიტომ, რომ ვფიქრობდი, თუ რას დავახვედრებდით ჩვენ ბატონ ჯემალს და თუ შევუვსებდით ჩვენ იმ დანაკლისს, რაც მას ამ წლების მანძილზე ჰქონდა და ალბათ, აქვს ახლაც, თუმცა, შეხვედრით გამოწვეულმა სიხარულმა და ამ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა, მადლობა თქვენ, ბატონო ჯემალ, ამისთვის.“

შეხვედრის დასასრულს სიტყვით თავად მწერალიც გამოვიდა, მან ასევე ძალიან თავმდაბლურად ისაუბრა და აღნიშნა, -„ისეთი პატარა მწერლისთვის, როგორიც მე გახლავართ, ცოტა გადაჭარბებული მეჩვენება ასეთი დახვედრა, ძალიან ვნერვიულობდი,



(გაგრძელება გვ.6)

# ლადო ათანელის CD-სა და წიგნის „მოგონებები ნოველებად“ პრეზენტაცია

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მომღერალ ლადო ათანელის CD-სა და წიგნის „ლადო ათანელი — მოგონებები ნოველებად“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნში მოთხრობილია მსოფლიოში ცნობილი ბარიტონის შემოქმედების, მსოფლიო საოპერო სცენებზე მიღწეული წარმატებების, მისი სამშობლოსადმი დამოკიდებულების შესახებ. მოგონებები ჩაიწერა და ნოველები შექმნა მწერალმა გივი სიხარულიძემ, რომელიც პრეზენტაციის ერთ-ერთი წამყვანი იყო.

ნოველები ლადო ათანელიშვილის ბავშვობის წლების აღწერით იწყება, სადაც ნათქვამია, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ბარიტონი დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა.

„ლადო ათანელის მიერ ოსტატურად გადმოცემული ცალკეული ეპიზოდებითა და მოგონებებით მომღერალი წარმოჩნდება, როგორც თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, დიდი პატრიოტი, იუმორით აღსავსე, სხარტი გონებისა და მოყვასის სიყვარულით გულგამთბარი ადამიანი — არაჩვეულებრივი სამყაროს შემოქმედი, რომელიც ასე იზიდავს ყველას უშუალობით, ორიგინალობითა და განუზომელი პიროვნული ხიბლით“ — აღნიშნავს იდეისა და პროექტის ავტორი მანანა ჩიქოვანი-ათანელი.

პრეზენტაციას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა ალა-ფურშეტით დასრულდა.

ილია მარტყოფლიშვილი










# „ნაკურთხი მარილი მოტანილია?! - უკვე მოტანილია!“

## შეხვედრა მწერალთან

(მეხუთე გვერდიდან)

როცა დამირეკეს და, სიმართლე გითხრათ, შევწუხდი, რომ ჩემთვის ასე უნდა გარჯილიყავით, მაგრამ რაკი ამ შარში გავეხვიე და აგერ უკვე აქ, თქვენს წინაშე ვდგავარ, მეტი რალა გზა მაქვს, რომ არ ავიტანო ყოველივე. ჩემი ცხოვრება უფრო მეტად დაემსგავსა მეშახტის ცხოვრებას, რომელიც არ არის ჩემთვის უცხო, მსგავსება იმაშია, რომ მეშახტე, როცა შახტებიდან ამოდის გაბუქული, სასწრაფოდ შხაპს იღებს, რათა ის ჭუჭყი გაიცილოს, მეც ასე ვარ ახლა, სხვა გზა არ დამრჩენია, უნდა გადავივლო შხაპი, რადგან სულ ძირიძირობამდე ჩამოვიცილო ის ქების სიტყვები, რაც აქ მითხარით და ამით გამოვიდე მდგომარეობიდან. იმდენი მაქეთ და მადიდეთ, ახლა რომ იცოდეთ, როგორ უხერხულად ვგრძნობ თავს , ალბათ იტყოდით ,რაღას ვტანჯავთ ამ კაცსაო, შეგეცოდებოდით და წახვიდოდით აქედან.“-ბოლოს ბატონმა ჯემალმა ისაუბრა ჩვენს დღევანდელობაზე, პოლიტიკაზე, იმაზეც , რომ ახალგაზრდებმა ლიტერატურა და ჩვენი ტრადიციები არ უნდა დაივიწყონ, ისაუბრა რთველში მოწნული კალათების აღდგენის ტრადიციაზე და ძველი ქართული კერძების აღდგენაზეც კი.



ეს ყველაფერი იმდენად თავმდაბლად და უაღრესად დიდი მხატვრული ფანტაზიით გადმოგვცა, რომ ამ საუბრიდან ერთი კარგი მოთხრობა კიდევ გამოცხვებოდა. ისე, მწერლის ამ ღია, ალალი და ხალასი სიტყვის მოსმენამ, ასეთ საუბარს მონატრებული საზოგადოება უზომოდ კმაყოფილი დატოვა.

შეხვედრის დასასრულს ,ჯემალ მეხრიშვილს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი, ხატები, წიგნები და კიდევ უამრავი რამ. არაჩვეულებრივი საღამო ტრადიციული ქართული სუფრითა და მასპინძლობით დაგვირგვინდა, რამაც როგორც წესია, უფრო გააღრმავა და დააახლოვა დედოფლისწყაროს ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება და ბატონი ჯემალ მეხრიშვილი ერთმანეთთან.

მიმაჩნია, რომ მან, ვინც ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედება არ იცის, არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ოზაანელად, ნამდვილ ქიზიყელად, რადგან მისი ნაწარმობების წაკითხვის შემდეგ სულ სხვა თვალით და სხვა გულით შეგიყვარებდათ თქვენი სოფელი, ქიზიყი და სრულიად საქართველო. დიახ, თუ არა ჯემალ მეხრისვილისგან, სხვა ვისგან უნდა ისწავლოს ნებისმიერმა ჩვენმა აღსაზრდელმა ბავშვმა, თუ რა არის ყველაფერი მშობლიურისადმი სიყვარული. იგი არის შემოქმედი, რომელმაც ქალაქელს სოფლის ტკივილი და სიხარული დაანახა, ხოლო სოფლელს ქალაქის ქაოტური ცხოვრების დინება აღუწერა. მისი „მაისის თაფლი“, „ნაკურთხი მარილი“, „შირაქის ველზე“ და „სოფელი და ბაზარი“ ყველა ერთმანეთზე შეუდარებელია და არ ჩამოუვარდება ნებისმიერი დიდი მწერლის ნაღვაწს.

თუ ნოდარ დუმბაძემ გურიის ერთ-ერთი სოფლის, მშობლიური ხიდისთავის ხალხი გააცნო საქართველოს და მათი ენით ესაუბრა ხალხს, თუ ილია ჭავჭავაძემ" მგზავრის წერილებით" მოხევე კაცის გულისტკივილი მოგვიყვა, ჯემალ მეხრიშვილმა დღემდე პირუთვნელად, ყოველგავრი შელამაზების გარეშე მოგვიტანა ის ხალასი ქიზიყური დიალექტი, რასაც დღეს უკვე იშვიათად გავიგონებთ.იგი არის ის ერთადერთი მწერალი ჩვენთვის, ქიზიყელებისთვის, რომელმაც სრულიად საქართველოს გააცნო ქიზიყის ტრადიციები, ქიზიყელი ხალხის გულისტკივილი, მათი მეტყველება და ცხოვრება. წლები გავა და მხოლოდ მისი წიგნებით გვექნება შემორჩენილი ქიზიყური კილო- კავები, რომლითაც უხვადაა განოყიერებული ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედება.

მშობლებო, გააცანით და წააკითხეთ ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედება თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, ისინი აუცილებლად თავისი კუთხის და ქვეყნის პატრიოტები, კარგი ქართველები გაიზრდებიან.

ლალი მეხრიშვილი

# მასწავლებლებს ღვაწლი დაუფასეს

2013 წლის 16 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ღონისძიება ჩატარდა სახელწოდებით: „მასწავლებელო, გილოცავთ!“

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს N1, N2,ხორნაბუჯის, სამრეკლოს, საჯარო სკოლების და კერძო სკოლია „ბენაურის“ მოსწაავლეებმა. წამყვანმა ნინო სიფრაშვილმა მონაწილე ბავშვებთან ერთად უამრავი ლამაზი სიტყვა და ლექსი მიუძღვნა სტუმრად მოწვეულ პედაგოგებს. ი.ნონეშვილის, შ.ნიშნიანიძის, მ. ფოცხიშვილის, ხ.ბერულავას, ნ.დუმბაძის და სხვა პოეტების ლექსების კითხვით ბავშვებმა პატარა პოეზიის საღამო მოაწყვეს. ლექსებს ნორჩი დეკლამატორების მიერ წარმოთქმული სიტყვები ენაცვლებოდა, შემდეგ დები ლოლაშვილებისა და ზურიკაშვილების ფანდურზე შესრულებული ხალხური სიმღერები იყო. სიმღერებს მოჰყვებოდა ანსამბლ „შირაქის“ მიერ წარმოდენილი ცეკვები.ირგვლივ საზეიმო განწყობა სუფევდა, მონაწილე ბავშვებმა სხვადასხვა სკოლებიდან სტუმრად მოწვეულ თავიანთ საყვარელ პედაგოგებს კიდევ ერთხელ შეახსენეს მათი ამოუწურავი ღვაწლის თაობაზე, რომ მასწავლებელი მათთვის მეორე მშობელია და ხანდახან უფრო მეტიც... ისინი კი, მათი აღსაზრდელები არასოდეს გაუცრუებენ მათ დიდ იმედებს და ცხოვრების ბოლომდე მათი მადლიერნი იქნებიან.

ღონისძიებას პედაგოგებთან ერთად მუნიციპალიტეტის გამგეობის, სააღმზრდელო ცენტრისა და რესურსცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ელზა ხარაშვილი



# სიკვდილით დაწყებული მარადიული სიცოცხლე

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ფიროსმანი საქართველოს სავიზიტო ბარათია, როგორც ღვინო და ხალხური ცეკვა-სიმღერა, მისი სიღრმისეული გაგება და შეფასება ქართულ საზოგადოებაში ჯერ არ მომხდარა. ამით ნიკო ფიროსმანი ძალიან ჰგავს შოთა რუსთაველს, ყველა აქებს, მაგრამ ცოტას ესმის. ხელოვნებას, როგორც მეცნიერების ნებისმიერ დარგს, ახსნა და სწავლა სჭირდება, ამაზე აღარავინ დაობს, ერთია მხოლოდ, მის ასახსნელად ძალიან ცოტას თუ ჰყოფნის დრო და კომპეტენცია.

"ეს შედევრია და აუცილებლად უნდა წაიკითხო, ნახო, მოისმინო" - ამგვარი სიტყვები რასაკვირველია, ახდენს შთაბეჭდილებას ახალგაზრდაზე, მაგრამ თუ ვერ ავუხსენით, რის გამოა ესა თუ ის ნაწარმოები შედევრი, იგი მას აქსიომად მიიღებს, მაგრამ გულგრილი დარჩება.

რატომ არის ფიროსმანი გენიალური? ბუნებრივია კითხვა, რომელიც უნდა დასვას ახალგაზრდამ, რომელიც მის მხატვრობას პირველად გაეცნობა. და თუ არ დასვამს, მაშინ ჩვენ თვითონ უნდა ჩავეკითხოთ, რადგან გაუაზრებლად და ანალიზის გარეშე მიღებული სენტენციები მას აზროვნებას არ განუვითარებს.

იმიტომ რომ, ფუნჯის 2-3 ძალდაუტანებელი მოძრაობით ამგვარი სახვითი ეფექტის მიღება, რასაც ფიროსმანი აკეთებს, გენიოსს შეუძლია მხოლოდ; იმიტომ რომ ის არავის არ ჰგავს თავისი სტილითა და მანერით, ხელოვნებაში კი, საკუთარი ხელწერის პოვნა ასევე გენიოსთა ხვედრია; იმიტომ რომ მის შემოქმედებაში მოხდა ქართული მხატვრული პირობითობისა და დასავლური რეალიზმის, შუასაუკუნოვანი ქრისტიანული კედლის მხატვრობის მონუმენტურობისა და ევროპული დაზგურობის შერწყმა, ამიტომ მისი ნამუშევრები — ერთგვარ კულტურულ გზაჯვარედინს წარმოადგენს. რომ ხელოვანი მნიშვნელოვანი და დიდია მაშინ, როცა მისი შემოქმედება და განსაკუთრებული მხატვრულ-გამომსახველობითი მიგნებები საშუალებას იძლევა ხელოვნების ამა თუ იმ დარგის სპეციფიკური ენის რაობაზე ვილაპარაკოთ, როცა მას აქვს ისეთი სამეტყველო არსენალი, როგორც ფიროსმანს - საკუთარ მხატვრულ სამყაროში მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერთა პალიტრის, სივრცე-სიბრტყის გაგების, სურათს შინა „გრავიტაციის" სახით. და რომ ქართული კულტურის იდენტობის თვალსაზრისით, განუზომელია ფიროსმანის, როგორც „ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებლის" მნიშვნელობა. და როცა ფიროსმანის შესახებ ვამბობთ, რომ იგი თვითნასწავლია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა აკადემიური განათლება მიღებული და არა იმას, რომ მას ხატვა არ უსწავლია.

***„მე რომ ასი მანეთი მაინც მქონოდა, კარგ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი, ოთახს დავიქირავებდი, მაშინ კი ვხატავდი და ვხატავდი,“*** - ნიკალას ეს ოცნება ბოლომდე აუსრულებელი დარჩა. მხატვარმა, რომლის ნამუშევრები დღეს მილიონებად იყიდება და ჩვენი ქვეყნისთვის დაუფასებელ საგანძურს წარმოადგენს, ცხოვრება ბნელ და ნესტიან სარდაფში დაასრულა. ცხოვრება და არა — სიცოცხლე... ფიროსმანის სიცოცხლე მისი სიკვდილით დაიწყო. მაშინ, როცა მხატვრის სურათები სარდაფებიდან საგამოფენო დარბაზებში გადაჰქონდათ და მათ ხილვას მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა, ნიკალას დასუსტებული სხეული ავადმყოფობასთან ბრძოლას ბნელ და ცივ ხუხულაში განაგრძობდა...



# ფიროსმანის ნახატები

## მეეზოვე

მაყურებელმა რომ უფრო ახლოს დაინახოს გმირი, ფიროსმანი თავიდან იშორებს ყველაფერ ზედმეტს. ისევე როგორც მის ნახატებში "მზარეული", "მუშები", "ორთაჭალელი ტურფები", "ლომი", "მეეზოვე" წარმოდგენილია გაშიშვლებულ ატმოსფეროში.

ფიროსმანის ხატვის სტილი, წარმოგვიდგინოს თავისი პერსონაჟები შიშველ სცენაზე, შესაძლოა შევადაროთ თეატრალურ წარმოდგენას, რომელშიც მსახიობები ითამაშებდნენ დეკორაციების გარეშე. როგორც თეატრალურ წარმოდგენაში, ასევე ნახატზე, ამ შემთხვევაში ერთი მიზანია: მაყურებლის ყურადღების გამახვილება პერსონაჟზე ან მსახიობზე.

მეეზოვის ზურგს უკან ჩვენ ვერ ვხედავთ არც ეზოს, არც სახლს, არც ნაგავის გროვას, არც დაცვენილ ფოთლებს, არც ცოცხს. მრავალფეროვანი დეკორაციების და გრიმების საშუალებით გაადვილებულია მსახიობის ამოცანა. უნიღბოდ, შიშველ სცენაზე თამაშისათვის საჭიროა სახის შინაგანი ხედვის დიდი ინტენსიურობა. ამის გარეშე იქნება მხოლოდ ცარიელი სიტყვები. ფიროსმანი ირჩევს სწორედ ამ რთულ გზას.

მეეზოვის ფეხებს ქვეშ ერთი მუჭა რუხი მიწაა დაყრილი. თუ კარგად დავაკვირდებით, შესაძლოა გამოვარჩიოთ ფიცრის იატაკი, რომელზედაც დგას მეეზოვე. ხოლო მეეზოვის უკან თეთრი ფონი — კედელია.

მაგრამ ამ შემთხვევაში ფიროსმანი ნამდვილი ილუზიონისტია: კედელი მთლიანად იხსნება, იღება. ხოლო კედლისა და იატაკის გამყოფი ხაზი აღიქმება როგორც ჰორიზონტის ხაზი. კონკრეტული რეალობიდან ჰორიზონტზე მიმავალი გზა ისეთი სიმსუბუქითაა შესრულებული რომ სუნთქვა შეგეკვრება.

ფიროსმანი ხშირად იყენებს კონტრასტულ ფერებს. "მეეზოვე"-ში ძირითად ფერად ფიროსმანმა გამოიყვანა იისფერი. მხატვარი იისფერს ხშირად არ ხმარობს. ამიტომ ნახატსაც განსაკუთრებული კოლორიტი შეურჩია.

სურათზე არ არის მინიშნებული წელიწადის დრო. სიცივეზე მიგვითითებს სახის ფერი, აგრეთვე ხელების რუხი-იისფერი გაშეშება. ხელის იისფერი თითები უფრო მარცხენა ხელის იისფერი თითები იპყრობს ყურადღებას. თითები შეკუმშულია სიცივისაგან, რომ გაყინული თითის წვერები ხელისგულებით გათბეს.

მეეზოვეს უხეში, სქელი მაუდის შავი ლაბადა აცვია. ხელთათმანები არ უკეთია, შესაძლოა იგი არ შედიოდა მეეზოვის ფორმაში, ან საერთოდ მოუხერხებელია ყოველდღიური მუშაობისას.

სიცივეზე მიგვანიშნებს სურათის საერთო კოლორიტიც. სახეზე და ხელებზე რუხი-იასამნისფერი ადევს.

იატაკზე ერთმანეთში დინამიურად გადადის ნათელი და ბნელი ლაქები, ჩრდილების ზოლები.

ფიროსმანი შუქჩრდილებს იშვიათად მიმართავს. ეს სურათი გამონაკლისია. ჩრდილი აქვს ხელჯოხს და მეეზოვის ფეხებს, მათი ჩრდილები ერთდება და ქმნის ერთიან ჩრდილს.

ნახატზე დიდი ადგილი უკავია შავ ფერს. შავია პალტო, მეეზოვის ხელჯოხი, თვალები. მორუხო-შავი ფერისაა ჩრდილები.

მეეზოვე თავისი ასაკის გამო იძულებულია დაეყრდნოს მსხვილ ხელჯოხს, რომ მყარად იგრძნოს თავი მიწაზე, რომელიც ფეხქვეშ უსხლტება. ხელჯოხი წარმოადგენს არამარტო ფიზიკური წონასწორობის წყაროს, არამედ მასში ხდება ფერის კონცენტრირება. მასში დალექილია მთელი სურათის სიშავე, განსაკუთრებით იატაკის სიშავის. ხელჯოხი კვერთხის, არგანის სიმბოლოა, რომლითაც დადიან განდეგილი გიორგი და ფიროსმანის სამყაროს სხვა მომლოცველები. მეორეს მხრივ, ეს ის ხელჯოხია, რომლითაც წისქვილის ზღურბლთან დგას მოხუცი მეწისქვილე.

რადგანაც ცოცხის მაგივრად მეეზოვეს ხელში ხელჯოხი უკავია, ეს მიგვანიშნებს მხატვრის მისწრაფებას, გამოხატოს უფრო განზოგადებული სახე.

ფიროსმანის ნახატების ფონი უპირატესად ერთფეროვანია, ან უკეთეს შემთხვევაში — ორფეროვანი. მაგრამ ცალკეულ სურათებზე მხატვარი ახდენს ფონის ზუსტ, ნაზ მოდელირებას. ასეთი რამ გვხვდება განწყობითი ხასიათის ნახატებზე. სწორედ ასეთს განეკუთვნება "მეეზოვე". იისფერისა და თეთრის შეხამება მიგვანიშნებს სურათზე ცივ სითბოს ატმოსფეროზე. ისევე როგორც ზამთრის დილის კვამლი, ასეთი ცივი სითბო ახვევია გარს მეეზოვეს.

მნიშვნელოვანია ფერების კონტრასტები. მეეზოვის თეთრი წინსაფრის კონტრასტი მოთეთრო-მოშავო ფონთან. წინსაფრის სითეთრე ცივია. თეთრი ფონი კი შედარებით თბილი. ასე რომ მეეზოვის ფიგურა თითქოს ცივ წინსაფარსა და შედარებით თბილ ფონს შუა არის მოქცეული.

თეთრი ფერი სულიერი სიწმინდის ფერია. მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში იგი სხვადასხვა შინაარსს იძენს. ერთია — ორთაჭალის ტურფას სითეთრე, მეორეა — მეეზოვის.

მეეზოვის შემთხვევაში იგი მიგვანიშნებს მის ხანგრძლივ, სინდისიან და სუფთა ცხოვრებას. ადამიანი, რომელიც იბრძვის ჭუჭყთან და ნაგავთან, წინსაფარი თითქოს თეთრ ფარს, ჯავშანს წარმოადგენს. თეთრ წინსაფარში ჩაქსოვილია ამ ცხოვრების რწმენა, სიმამაცე და ღირსება. თითქოს თავიდან იშორებს ამ ცხოვრების ნაგავს. აღსანიშნავია წინსაფრის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება: მისი თეთრი სივრცე შემოსაზღვრულია უწყვეტი შავი კონტურის ხაზით. ამით ხაზგასმულია მოცემული სივრცის ხელშეუხებლობა, სისრულე და მთლიანობა.

ცხადია, მეეზოვე არ გახლავთ ანგელოზი, რომელსაც გაფრენისთვის მხოლოდ ფრთებიღა აკლია. მის მძიმე ცხოვრებაში ყოფილა ყველაფერი. ახლა მას შეუძლია აზრობრივად დაიჭიროს განვლილ გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი - ნამდვილი ადამიანურობის ის ნაწილაკები, რომლებთანაც ქონია შეხება, ან წარმოუსახავს აზრობრივად. ერთფეროვან დღეთა გრძელ ჯაჭვში ყველაფერს ვერ გაიხსენებ. და ესეც არა არის მთავარი. მთავარია ის რომ, მან ბოლო დღეებამდე შეინარჩუნა უფლება თეთრ წინსაფარზე.

უკბილო ლოყები ჩაუცვივდა, ღაწვის თავები უფრო გამოესახა, ყურები თითქმის სახეს შერწყმია. მსხვილი ცხვირი მძიმედ დაშვებულა. ტუჩები სრულებითაც არ ჩანს, იგი ხშირი მოწითურო წვერითაა დაფარული. დალაქის მაკრატელი იშვიათად თუ შეხებია მეეზოვის წვერს. მეეზოვის ფორმის ქუდიდან უწესრიგოდ გადმოყრილან თმები. ფეხზე აცვია ადამიანური სიტყვით ძნელად განსასაზღვრავი ფეხსაცმელი — კალოშები თუ რეზინის ყელიანი ფეხსაცმელი (ბოტები).

ჩვენს წინაშე არც მომლოცველია კვერთხით, არც ტყის კაცი და არც მეთევზე, მხატვარმა ფორმის ქუდის ყვითელ ზოლზე გარკვევით წააწერა — "მეეზოვე" — და ნომერი: 1035.

ამით ფიროსმანმა დაგვიხატა ადამიანი, რომელიც ამ ცხოვრებაში აღმოჩნდა მეეზოვედ.

## კახეთის ეპოსი

კახეთის ეპოსი ფიროსმანის სიცოცხლის წლებში მის ერთერთ დიდ სურათს ვიღაცამ «კახეთის ეპოსი» დაარქვა სახელად. სიტყვა ეპოსი ფიროსმანის მხატვრული სისტემის ერთერთი თვალსაჩინო თვისებაა. ფიროსმანის ფართე ხედვა, ეპოსური ენა ეფუძნება საქართველოს იშვიათად სწორ შეგრძნებას. მისი შემოქმედება მხატვრული ჟანრების მთელი კომპლექსისაგან შედგება: 1. ნატურმორტები, 2. ცხოველები, 3. პორტრეტები, 4. პეიზაჟები, 5. ჟანრული კომპოზიციები, 6. ეპოსური კომპოზიციები, 7. აზრები. საბოლოო ჯამში მის სურათებში ზედმიწევნით სავსე საქართველოს ხატი იქმნება. ამ ხატში თავისი ადგილი იპოვეს საქართველოს ბუნების ისეთმა დეტალებმაც, როგორიც ყურძნის მტევანი ან ბალახია, ისეთმა ვრცელმა სივრცეებმაც, რომელსაც საქართველოს კლდეები, მთები და ზეგანები ქმნიან. ადამიანთა ყოფიერების გამომსახველი ეპიზოდები სწორედ ამ დეტალებისა და დიდი სივრცეების გარემოშია კომპოზიციურად განფენილი. სივრცის ერთ ლაბირინთში მოქეიფეები შემოსხდომიან მოლზე გაშლილ თეთრ სუფრას, მეორე ლაბირინთში ადამიანს ძარცვავენ ყაჩაღები, სხვაგან კაცი უწყინარად მიდის ტვირთით ზურგზე, იქით კაცი ჯოგს მწყემსავს, შორს თეთრი ეკლესია მოჩანს, მის თავზე ჩიტების გუნდი მიფრინავს, შარაგზაზე ადამიანების ჯგუფი მიემართება, სხვა ლაბირითში ქორწილია, მთასთან მყუდრო ადგილას მოხუცი ლოცულობს და ა.შ. ადამიანებით და ბუნებით სავსეა ფიროსმანის დახატული საქართველო, მაგრამ საქართველოს ხატი სრული არ იქნებოდა, ფიროსმანს თავისი ხასიათი რომ არ გამოევლინა სხვადასხვა მხატვრულ ნიშნებში და ფაქტორებში. ოსტატური მიგნებით არის დაყოფილი სივრცე სხვადასხვა ლაბირინთებად შიშველი კლდეების საშუალებით ნახატში «კახეთის ეპოსი». კლდეები არც ისე გრანდიოზული ზომებისაა, მაგრამ მეტაფორულად საქართველოს კლდოვანი ლანდფშატების შთაბეჭდილებას ტოვებენ. კლდეების მეშვეობით მხატვარი მთლიანი ხედის სხვადასხვა შრეებს ქმნის. ერთერთ ლაბირინთში თეთრი ეკლესიის თავზე თეთრი ჩიტები მიფრინავენ. მეორე კლდის გამონაშვერის ძირას დიდი სახლის თავზე შავი ფრინველები მიფრინავენ ცის სივრცეში. მესამე კლდის ზეგანზე მთელი სოფელია გამოსახული. მთლიანობაში იქმნება უზარმაზარი სივრცე. ნახატის წინა პლანზე კი ადამიანის ყოფიერების სხვადასხვა ეპიზოდებია ჩაწერილი. კომპოზიციაში სულ რამდენიმე ხეა დახატული, მაგრამ მიწის ძლიერ ზეგანებთან თანაფარდობაში ოაზისური ხილვების შთაბეჭდილებას ტოვებენ. როგორც სინამდვილეში უჭირავს მთებს და კლდეებს დიდი ადგილი სივრცეში, ისევე ნახატის შეზღუდულ სიბრტყეზე უჭირავს დიდი ადგილი მცირე ზომის კლდეს, თუ ზეგანს. ფიროსმანი ხშირი მცენარეულის ნაცვლად მიწის მკვრივ ზეგანებს, მთის ფერდებს და ველებს გამოსახავს.

## მონატრება

### ზურა ნატროშვილი



გაუსაძლისი ტკივილით მერვე დაბადების დღეს მოვესწარი, შვილო, უშენოდ. ოქტომბერში მოევლინე ქვეყანას და ოქტომბერშივე წახვედი ცათა სასუფეველში.

ალალი, კეთილი, ხელგაშლილი, იუმორით სავსე- აი, ასეთი იყავი ყველასთვის.

სიცრუე ყოფილა, რომ თითქოს მიწა გრილია და დრო მკურნალი, რაც დრო გადის, მით უფრო მტანჯველი სევდა მეუფლება, გენაცვალოს დედა.

შენმა სალომემ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და უკვე იუსტიციის სამინისტროში მუშაობს მრჩევლად - როგორ იამაყებდი, შვილო. შენი ძმისშვილები გაიზარდნენ და ყველა თავის გზას დაადგა,-როგორ გაიხარებდი, შვილო, ჩვენო ტკივილო, როგორ მენატრები, რომ იცოდე.

16 ოქტომბერს შენს საფლავზე შევიკრიბებით შენი ახლობლები, მეგობრები. აგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. სულ მუდამ გვახსოვხარ, ვილოცებთ, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მშობლები და ახლობლები.
სოფელი ზემო მაჩხაანი.

***გაზეთ „შირაქი“-ს წინა ნომერში ზურა ნატროშვილის მონატრებაში ტექნიკური ხარვეზის გამო დაიბეჭდა სხვა ფოტო, რისთვისაც ვიხდით ბოდიშს.***

# ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი

2013 წლის 12 ოქტომბერს სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში ჩატარდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენის კავალერის ანზორ(ფირუზ) მარტყოფლიშვილის ტრადიციული XII ტურნირი ჭიდაობა "ძიუდოში" 1998-1999წლებში დაბადებულთა შორის.

შეჯიბრი ჩატარდა პირად პირველობაში ძიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით 7 წონით კატეგორიაში და მონაწილეობდა ცხრა მუნიციპალიტეტის - დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ქარელის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და ქალაქ თბილისის (2)-10 გუნდი.

მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდნენ მწვრთნელების-კახა წიკლაურის, ბორის გულიაშვილის, ვაჟა მოსულიშვილისა და ზვიად პატაშურის მოჭიდავეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს ტურნირი.

პირად პირველობაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ვაჟა ბუბუნაური–სოფელი ქვემო ქედი–Iადგილი–46კგ.წონითი კატეგორია;

ლაშა ბექაური–სოფელი ზემო ქედი–II ადგილი–46კგ. წონითი კატეგორია;

ნიკა კობაიძე–სოფელი არხილოსკალო–IIIადგილი–50კგ. წონითი კატეგორია;

გიორგი წიკლაური–სოფელი არხილოსკალო–IIIადგილი–55კგ. წონითი კატეგორია;

ნიკა ზვიადაური– სოფელი არხილოსკალო–IIIადგილი–55კგ. წონითი კატეგორია;

ბექა გაგაძე–სოფელი არხილოსკალო–IIIადგილი–60კგ. წონითი კატეგორია;

გიორგი გუგენიშვილი–სოფელი არბოშიკი–IIIადგილი–73კგ. წონითი კატეგორია.

ხოლო, გუნდურ პირველობაში, საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა.

შვიდი საპრიზო ადგილით და 29,5 ქულით, პირველ ადგილზე გავიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი.

ხუთი საპრიზო ადგილითა და 24 ქულით, მეორე ადგილი დაიკავა ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდმა.

ოთხი საპრიზო ადგილითა და 19 ქულით, მესამე ადგილზე გავიდა საგარეჯოს გუნდი, ხოლო მეოთხე ადგილი 4 საპრიზო ადგილითა და 17,5 ქულით დაიკავა ყვარლის მუნიციპალიტეტის გუნდმა.

ტურნირის მთავარი მსაჯი იყო გოდერძი გუტაშვილი(ახმეტა), წამყვანი მსაჯი-ალექსანდრე მამუკიშვილი(ქალაქი თბილისი), გვერდითი მსაჯი-შენგელი ქიბროწაშვილი, შუამავალი მსაჯი–ვანო ორკოტაშვილი(ქალაქი თელავი).

ტურნირს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს ძიუდოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე, საქართველოს ძიუდოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანაშემწე დავით ასუმბანი, უმცროს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი-თამაზ კარიაული, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი, ყოფილი მწვრთნელები ქალაქ თელავიდან სოსო კევლიშვილი და ავთანდილ გავაშელიშვილი, ილია გაგაძე– სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან, ქალაქ სიღნაღის რწმუნებული რევაზ პოპიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ნინო ბახუტაშვილი, სოფელ ზემო მაჩხაანის რწმუნებული გია იაკობიშვილი.

ტურნირის მსვლელობას ხელმძღვანელობდნენ ანზორ მარტყოფლიშვილი, კულტურისა და სპორტის ცენტრის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში მამუკა ალადაშვილი და ძიუდოს მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი.

## კახეთის ღია ჩემპიონატი „კუნგ-ფუ“ „სანდაში“

ქალაქ ლაგოდეხში ჩატარდა კახეთის ღია ჩემპიონატი „კუნგ-ფუ" „სანდაში". მონაწილეობდნენ, როგორც კახეთის გუნდები, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულები. ასევე მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის გუნდმა. სპორტული გუნდი "ზაქები "დან მებრძოლებმა , რომლებიც ტექნიკურად და ფიზიკურად კარგი მომზადებულები იყვნენ. შედეგიც კარგი აჩვენეს: მათ ექვსი პირველი, სამი მეორე და ორი მსამე ადგილები დაიკავეს. პირველი ადგილი მოიპოვეს გიორგი ნატროშვილმა, რომელიც შეხვდა აზერბაიჯანიდან ჩამოსულ საკმაოდ გამოცდილ სპორტსმენს. გიორგიმ ბრძოლას კარგად გაართვა თავი, ბოლოს აზერბაიჯანელი ტატამიდანაც კი გაურბოდა. აღსანიშნავია, რომ გიორგი 16 წლისაა და აზერბაიჯანელი კი 25 წლის. ასევე პირველი ადგილი დაიკავეს: გიგა ნატროშვილმა, სანდრო ნატროშვილმა, ლაშა ქევხიშვილმა, გიორგი კანდელაკიშვილმა და ანა ზურაშვილმა, რომელმაც დროზე ადრე აშკარა უპირატესობით დაამარცხა მეტოქე.

მეორე ადგილი დაიკავეს: გიორგი ფიროსმანაშვილმა, გელა ჩაფიძემ, ნოდარ ვარდიაშვილმა.

მესამე ადგილი დაიკავეს: მორის ხმალაძემ და ნიკა ქევხიშვილმა.

გუნდი მოამზადა გენადი ნატროშვილმა.

## საერთაშორისო ტურნირი MMA-ში

ქალაქ თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბრძოლა წესების გარეშე MMA-ა წესებით. "ზაქები" დიდი გამოცდის წინაშე დადგნენ, წონითაც და ასაკითაც საკმაოდ დიდ მეტოქეებს შეხვდნენ.

პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ნატროშვილმა , რომელიც 48 კგ არის და 60 კგ წონით კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად განსხვავებისა, იმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილი დაიკავეს: გიგა ნატროშვილმა, რომელიც 10 კილოგრამით მძიმე წონაში მონაწილეობდა და ერთმანეთზე უკეთესი ბრძოლები ჩაატარა. გიგა ნანობაშვილმა, როგორც ასაკით უფროსებში, ასევე წონითაც მძიმე კატეგორიაში მიიღო მონაწილეობა, ნახევარფინალი დროზე ადრე დაამთავრა და ფინალში მცირე ანგარშით წააგო. გელა ჩაფიძე, რომელიც ოთხი წლით უფროსებს შეხვდა, საუკეთესო ბრძოლები ჩაატარა და ფინალში დამარცხდა. გოირგი კანდელაკიშვილი წონით თანაბარ, მაგრამ ასაკით უფროსებთან იბრძოდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამე ადგილი დაიკავეს: ნიკა და ლაშა ქევხიშვილებმა.

გუნდს წვრთნის გენადი ნატროშვილი.

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ბაჩანა ალუღიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას.

**შენი მეგობრები:**
გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვლები;
მაკო და ალეკო კოტაშვილები.

### ნია მელაშვილს!



ჩვენო სულისდგმავ, ჩვენო სიხარულო, რა დრო გასულა, შენ უკვე 15 წლის თინეიჯერი ხარ, სიცოცხლით და სიყვარულით სავსე, კეთილი და გულწრფელი. იცოცხლე დიდხანს, იყავ ჯანმრთელი და გონიერი. უფალი იყოს შენი შემწე მთელი ცხოვრების მანძილზე.

**სიყვარულით,**
**პაპა** გოგი პოპიაშვილი,
**ბებო** ნაირა გორაშვილი.

### არსენ ყოჩიაშვილს!

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას. 20 წელი ერთგვარად გარდამტეხი ასაკია ახალგაზრდისთვის, ვისურვებ, წარმატებული იყო შენს პროფესიაში. მჯერა, შენი კარგი ვაჟკაცობით ყველას გვასახელებ.

**შენი ნათლია**
ბიძინა პოპიაშვილი

**ყურადღება!**

**ვეძებ მომვლელს**

მოხუცებულისთვის ვეძებთ მომვლელს სადღელამისო რეჟიმით.
მსურველებმა დარეკეთ:
599 23 06 28; 577 71 72 79

**იყიდება!**

იყიდება 1 ოთახიანი ბინა დედოფლისწყაროში რუსთაველის ქუჩაზე .გამოდგება კომერციული ფართისთვისაც. ფასი-4000 დოლარი.
571-55-99-51; 595-97-99-01

„დედოფლისწყაროს საათი“
ილია მარტყოფლიშვილითან ერთად
კვირა 17:30
დარეკეთ სტუდიაში 0322 388-105
განმეორებით 00:30
მოძებნე „ობიექტივი“

## ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| ორშაბათი 21.10 | | სამშაბათი 22.10 | | ოთხშაბათი 23.10 | | ხუთშაბათი 24.10 | | პარასკევი 25.10 | | შაბათი 26.10 | | კვირა 27.10 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 9 ° | 7 ° | 10 ° | 8 ° | 12 ° | 11 ° | 11 ° | 7 ° | 6 ° | 4 ° | 7 ° | 6 ° | 9 ° | 8 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.